



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ცვლილებები თურქეთის მმართველობის სისტემაში

ზურაბ ბატიაშვილი

107

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

**ზურაბ გაბიაშვილი**

**ცვლილებები თურქეთის მმართველობის სისტემაში**

**107**

**2018**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2018 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-0644-5

2018 წლის 24 ივნისს თურქეთში გაიმართა რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, სადაც კიდევ ერთხელ მოიპოვეს დამაჯერებელი გამარჯვება მოქმედმა პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა და მისმა „სამართლიანობისა და აღორძინების პარტიამ“ (AK Parti), რომლებიც 2002 წლიდან მართავენ ქვეყანას.

ეს არჩევნები იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ სწორედ ამის შემდეგ, 9 ივლისს ჩატარებული პრეზიდენტის ინაგურაციის ცერემონიალის დასრულებისთანავე, თურქეთში ძალაში შევიდა გასულ წელს გამართული რეფერენდუმის შედეგად მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების უმეტესობა, რაც ითვალისწინებს საპარლამენტოდან საპრეზიდენტო მმართველობის სისტემაზე გადასვლას.<sup>1</sup>

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში ეს არის მმართველობის სისტემაში დღემდე განხორციელებული ყველაზე ძირეული რეფორმა, რომლის ინიციატორი თავად პრეზიდენტი ერდოღანია.

### **რატომ დადგა დღის წესრიგში ცვლილებების საჭიროება?**

თურქეთი 2018 წლის 9 ივლისამდე ოფიციალურად საპარლამენტო რესპუბლიკა იყო. ეს სისტემა, მართალია, ხარვეზებით, მაგრამ მაინც მუშაობდა ათწლეულების განმავლობაში, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა ბოლო წლებში თურქეთში განვითარებული პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე.

მოვლენების ეპიცენტრში ბუნებრივად მოექცა პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი. თურქეთს ათათურქის შემდეგ არ ჰყოლია ერდოღანის მსგავსი ქარიზმატული ლიდერი, რომელიც უკვე 16 წელია მართავს ქვეყანას. ამ პერიოდში მისმა პარტიამ შეძლო არა მარტო ყველა (საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივ) არჩევნებში გამარჯვება, არამედ ძირეული ცვლილებები შეიტანა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასა და სისტემაში.

ერდოღანმა, რომელიც ცნობილია საკუთარი კონსერვატიული შეხედულებებით, აქტიური პოლიტიკური კარიერა დაიწყო 1994 წელს, როდესაც ქ. სტამბოლის მერად აირჩიეს. მან რეალურად მოაგვარა ქალაქის წინაშე მდგარი მრავალი პრობლემა, რომელთა გადაჭრასაც მისი წინამორბედები ვერ ახერხებდნენ. სტამბოლი იქცა ერთგვარ მოდელად და მისაბამ მაგალითად თურქეთის დაწარჩენი მოსახლეობისთვის. მართალია, სტამბოლის არჩეულ მერს 1999 წელს წარმოთქმული ლექსის გამო 4 თვით ციხეში ჩაჯდომაც

მოუნია,<sup>2</sup> მაგრამ ამ ფაქტმა, საბოლოო ჯამში, მას პოპულარობა მოუტანა და 2001 წელს ჩამოაყალიბა „სამართლიანობისა და აღორძინების პარტია“, რომელმაც მომდევნო წელს საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა.

ამ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თურქეთში დაიწყო ეკონომიკური ზუმი და დაისადგურა პოლიტიკურმა სტაბილურობამ. ქვეყანამ 2005 წელს უკვე ოფიციალურადაც მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი,<sup>3</sup> რაც ერდოღანის მიერ ინიცირებულ „დემოკრატიზაციის პროცესს“ უკავშირდება.

ვითარება შეიცვალა 2013 წლის შემოდგომაზე, როდესაც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში შეღწეულმა ამერიკაში მცხოვრები სულიერი ლიდერის ფეთულა გულენის მომხრეებმა ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს ერდოღანის მთავრობის 3 მინისტრის შვილები.<sup>4</sup>

თურქეთის ხელისუფლებამ გულენის მომხრეები ტერორისტულ ორგანიზაციად (აბრევიატურა FETÖ) გამოაცხადა და სასწრაფო წესით დაიწყო სახელმწიფო სისტემის „წმენდა“. ეს პროცესი დასრულებული არ იყო, როდესაც 2016 წლის 15 ივლისს მოხდა სამხედრო გადატრიალების მცდელობა, რომელიც, ხელისუფლების განცხადებით, გულენის მომხრეებმა დაგეგმეს და განახორციელეს. ამ მცდელობისას, მხოლოდ ერთ ღამეში, დაიღუპა 248 და დაშავდა 2200-მდე მშვიდობიანი მოქალაქე. მართალია, ხელისუფლებამ ქუჩაში გამოსული ხალხის დახმარებით მალევე შეძლო გადატრიალების მცდელობის აღაგმვა, მაგრამ იარების მოშუშება და საფრთხეების ბოლომდე აღმოფხვრა ადვილი არ აღმოჩნდა.<sup>5</sup>

გადატრიალების მცდელობის შემდეგ ხელისუფლებამ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. პარალელურად, გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობისა და FETÖ-ს წევრობის ბრალდებით, თურქეთში დააკავეს 50 ათასზე მეტი პირი და სახელმწიფო სამსახურიდან დაითხოვეს 130 ათასზე მეტი მოქალაქე.<sup>6</sup>

ამას დაემატა ბრძოლა ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა „დაეში“ და „ქურთისტანის მუშათა პარტია“ (PKK). ასევე მწვავედ დგას თურქეთში მცხოვრები მილიონობით სირიელი ლტოლვილის საკითხი, დაძაბული ურთიერთობები დასავლეთთან, ომი სირიაში და ეკონომიკური პრობლემები.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, თურქეთის ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებთან გასამკლავებლად იდეალური ვარიანტი იქნებოდა მმართველობის საპარლამენტო ფორმიდან საპრეზიდენტო ფორმაზე გადასვლა, რომლის

დროსაც მოკლე ხანში მოხდება გადანყვეტილებების ოპერატიულად მიღება და აღსრულება.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი თარიღი იყო 2017 წლის 16 აპრილი, როდესაც თურქეთის მოსახლეობის 51,4%-მა რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტს (სულ მოიცავდა 18 მუხლს), რომელიც ითვალისწინებდა საპრეზიდენტო უფლებამოსილების მკვეთრ ზრდას.<sup>7</sup>

თურქეთის მმართველობის სისტემაში განხორციელებული ცვლილებების ერთი ნაწილი მომდინარეობს კონსტიტუციის 18 მუხლის კორექტირებიდან, მეორე ნაწილი კი – ინაგურაციის შემდეგ პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებებიდან.

საინტერესოა, რას მოიცავს ცვლილებები სფეროების მიხედვით.


### **ცვლილებები პოლიტიკურ სფეროში**

- გაუქმდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. გაუქმდა მინისტრთა კაბინეტი;
- შემოვიდა ვიცე-პრეზიდენტის/ვიცე-პრეზიდენტების თანამდებობები, რომლებსაც თავად პრეზიდენტი დანიშნავს და შეცვლის საკუთარი შეხედულებისამებრ;<sup>8</sup>
- აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში იდგება პრეზიდენტი;
- მინისტრად შესაძლებელია ისეთ პირების შერჩევა, რომლებიც არ არიან პარლამენტის წევრები;
- პრეზიდენტს მიეცა საკუთარი შეხედულებისამებრ სამინისტროების შექმნის, გაუქმების, უფლებამოსილებებისა და სტრუქტურის განსაზღვრის უფლება;<sup>9</sup>
- მინისტრებს საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩევს და შეცვლის პრეზიდენტი;
- პრეზიდენტს უკვე შეუძლია იყოს პარტიული;
- პრეზიდენტს უფლება მიეცა გამოსცეს გადანყვეტილებები/დეკრეტები;<sup>10</sup>
- პრეზიდენტის ინიციატივით მის ადმინისტრაციაში შეიქმნა სხვადასხვა სფეროს 9 საბჭო, რომლებიც შეიმუშავენ პოლიტიკას, სტრატეგიებსა და გრძელვადიან ხედვებს სამინისტროებისთვის;<sup>11</sup>

- ადმინისტრაციაში ასევე შეიქმნა 4 ავტონომიური ოფისი, რომლებიც თვალყურს მიადევნებს პრეზიდენტის პოლიტიკის განხორციელებასა<sup>12</sup> და მოახდენს პროექტების მონიტორინგს სხვადასხვა სფეროში;<sup>13</sup>
- პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში გადავიდა თითქმის ყველა სახელმწიფო დანესებულება;
- ბიუჯეტს მოამზადებს პრეზიდენტი და დასამტკიცებლად წარუდგენს პარლამენტს;<sup>14</sup>
- შეიკვეცა პარლამენტის უფლებამოსილებები;
- შეიკვეცა საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი;
- პარლამენტს აღარ ექნება მინისტრების არჩევის ან გადაყენების უფლება;<sup>15</sup>
- პარლამენტში წარმოდგენილი დეპუტატების რაოდენობა 550-დან 600-მდე გაიზარდა;
- საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები 4-ის ნაცვლად 5 წელიწადში ერთხელ, ერთსა და იმაივე დროს ჩატარდება;
- მინისტრების დასამტკიცებლად აღარ იქნება საჭირო პარლამენტში ნდობის ვოტუმის მიღება;<sup>16</sup>
- რელიგიურ საქმეთა დეპარტამენტს უფლება ექნება შევიდეს საგანმანათლებლო სისტემასა და სკოლებში;<sup>17</sup>
- TİKA (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო), უცხოეთში მცხოვრები თურქებისა და მონათესავე თემებთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ასევე ფონდების დეპარტამენტი დაექვემდებარა კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს;
- AFAD (საგანგებო სიტუაციების მართვის საბჭო) დაექვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს;
- სახელმწიფო ხაზინა შეურთდა ფინანსთა სამინისტროს. ხაზინისა და ფინანსთა მინისტრი გახდა ერდოღანის სიძე – ბერათ ალბაირაქი,<sup>18</sup> რომელსაც წინა მთავრობაში ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის თანამდებობა ეკავა;
- გაუქმდა ევროკავშირის სამინისტრო და ევროკავშირის სამმართველოს სახელით შეუერთდა საგარეო საქმეთა სამინისტროს;<sup>19</sup>

- პრეზიდენტის ავადმყოფობის ან უცხოეთში ყოფნის დროს მის უფლებამოსილებას შეასრულებს არა პარლამენტის თავმჯდომარე, როგორც ადრე იყო, არამედ ვიცე-პრეზიდენტი;<sup>20</sup>
- ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა ფუათ ოქთაი, რომელიც მანამადე AFAD-ს (საგანგებო სიტუაციების მართვის საბჭო) ხელმძღვანელობდა;
- სამინისტროების რაოდენობა 21-დან 16-მდე შემცირდა.<sup>21</sup> აღსანიშნავია, რომ ახალი მინისტრების უმრავლესობა არ არის პოლიტიკოსი. საბოლოო ჯამში, სამინისტროები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:
  1. იუსტიციის მინისტრი – აბდულჰამით გული;
  2. შრომის, სოციალური მომსახურებისა და საოჯახო საკითხების მინისტრი – ზეჰრა ზუმრუთ სელჩუკი;
  3. გარემოს დაცვისა და ურბანიზაციის საკითხების მინისტრი – მურათ ქურუმი;
  4. საგარეო საქმეთა მინისტრი – მევლუთ ჩავუშოღლუ;
  5. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი – ფათიჰ დონმეზი;
  6. ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრი – მეჰმეთ ქასაფოღლუ;
  7. ხაზინისა და ფინანსთა მინისტრი – ბერათ ალბაირაქი;
  8. შინაგან საქმეთა მინისტრი – სულეიმან სოილუ;
  9. კულტურისა და ტურიზმის მინისტრი – მეჰმეთ ერსოი;
  10. ეროვნული განათლების მინისტრი – ზია სელჩუკი;
  11. ეროვნული თავდაცვის მინისტრი – ჰულუსი აქარი;
  12. ჯანდაცვის მინისტრი – ფაჰრეთინ ქოჯა;
  13. მრეწველობისა და ტექნოლოგიების მინისტრი – მუსტაფა ვარანქი;
  14. სოფლისა და სატყეო მეურნეობის მინისტრი – ბექირ ფაქდემირლი;
  15. ვაჭრობის მინისტრი – რუჰსარ ფექჯანი;
  16. ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – მეჰმეთ ჯაჰით თურჰანი.<sup>22</sup>





## ცვლილებები საგარეო ურთიერთობების სფეროში

- საგარეო საქმეთა სამინისტრო ისევე, როგორც გენშტაბი, ათწლეულების განმავლობაში ინარჩუნებდა გარკვეულ ავტონომიურობას. თუმცა ცვლილებები ამ უწყებასაც შეეხო. ამიერიდან მმართველ პოზიციებზე ახალი კადრები შეიძლება სამინისტროს გარედანაც დაინიშნონ.<sup>23</sup> ეს პროცესი უკვე დაწყებულია უცხოეთში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების პოზიციებზე არაკარირული დიპლომატების დანიშვნებით;<sup>24</sup>
- პრეზიდენტს უფლება მიეცა განსაზღვროს ის ქვეყნები, სადაც იმოქმედებს სხვადასხვა სახის სავიზო რეგულაციები;
- ომის ან საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, პრეზიდენტს უფლება ექნება შეზღუდოს ქვეყანაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესვლა.<sup>25</sup>

## ცვლილებები თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში

- გენერალური შტაბი, რომელიც ადრე ზოგჯერ მხოლოდ ფორმალურად ექვემდებარებოდა პრემიერ-მინისტრს, დაექვემდებარა თავდაცვის სამინისტროს;
- თურქეთის ისტორიაში პირველად თავდაცვის მინისტრად დაინიშნა გენშტაბის უფროსი, არმიის გენერალი ჰულუსი აქარი. ამ დანიშვნის მიზანია სამხედრო ელიტისთვის მაქსიმალურად უმტკივნეულო იყოს ცვლილებების პერიოდი;<sup>26</sup>

- თავდაცვის სამინისტრო პასუხისმგებელი გახდა სამხედროების პოლიტიკურ, იურიდიულ და სოციალურ საკითხებზე, ისევე, როგორც მათ განათლებაზე, ფინანსურ, საბიუჯეტო და ლოჯისტიკურ სერვისებზე. სამინისტრო ასევე უზრუნველყოფს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გამართულ მუშაობას, სამხედრო გემთმშენებლობას, პერსონალის ჯანდაცვას და ვეტერანებზე ზრუნვას;
- სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობებიც დაექვემდებარა თავდაცვის სამინისტროს;
- საჭიროების შემთხვევაში, პრეზიდენტს უფლება ექნება პირდაპირი ბრძანებები მისცეს ზემოხსენებული ჯარების სახეობების სარდლებს ისე, რომ მას არ დასჭირდეს სხვა რომელიმე უწყების თანხმობა – ამ პრობლემამ თავი იჩინა 2016 წლის 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობის ჩახშობისას;<sup>27</sup>
- პრეზიდენტის ბრძანებით შეიცვალა სამხედრო მალაღჩინოსნების დანიშნულებაზე პასუხისმგებელი უმაღლესი სამხედრო საბჭოს (YAŞ) შემადგენლობა. თუ ადრე მის შემადგენლობაში 15 არმიის გენერალი და ადმირალი შედიოდა და პრემიერ-მინისტრი მხოლოდ სიმბოლურად თავმჯდომარეობდა საბჭოს, ახლა იგი სრულად მოექცა სამოქალაქო კონტროლის ქვეშ. საბჭოს განახლებულ შემადგენლობაში შედიან პრეზიდენტი/ვიცე-პრეზიდენტი, თავდაცვის, იუსტიციის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, ხაზინისა და ფინანსთა, განათლების მინისტრები, ასევე გენშტაბის უფროსი, სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლები.<sup>28</sup> საბჭო შეიკრიბება წელიწადში მინიმუმ ერთხელ. იგი შეიკრიბება უკვე საჭიროებისამებრ<sup>29</sup> და არა აგვისტოში, როგორც აქამდე იყო დამკვიდრებული;
- პრეზიდენტის ბრძანებით გაუქმდა ეროვნული უშიშროების საბჭოს სამდივნო (აპარატი), რომელიც მოქმედებდა 1960 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ და რომელიც მიჩნეული იყო სამხედროების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად იმისთვის, რომ მათ გავლენა ჰქონოდათ სამოქალაქოებზე. მისი ფუნქციები გადაეცემა უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საბჭოს, რომელიც არის პრეზიდენტთან არსებული 9 საბჭოდან ერთ-ერთი. ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინ იქნება ამ საბჭოს ხელმძღვანელი, ასევე გაურკვეველია, როგორი იქნება მისი ურთერთობები პრეზიდენტთან, თავდაცვის სამინისტროსთან და სამხედრო მეთაურებთან;<sup>30</sup>

- იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებები/დეკრეტები წინააღმდეგობაში მოვა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებთან, საკითხის განხილვა მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოში. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 15 წევრიდან 12-ს ნიშნავს პრეზიდენტი, 3 წევრს კი – პარლამენტი.<sup>31</sup>

## საგანგებო მდგომარეობის დასასრული?!

2018 19 ივლისს თურქეთში ოფიციალურად დასრულდა 2 წლის წინ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა, რომელიც სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ შემოიღეს.<sup>32</sup> ერდოლანმა წინასაარჩევნოდაც დადო საგანგებო მდგომარეობის დასრულების პირობა, რადგან ასეთი სიტუაციის გამო შეშფოთებული იყვნენ როგორც ინვესტორები, ისე ევროკავშირი. თუმცა, იუსტიციის მინისტრის აბდულჰამით გულის განცხადებით, საგანგებო მდგომარეობის დასრულება არ ნიშნავს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დასრულებას.<sup>33</sup>

საქმე ისაა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ მოამზადა და პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინა ახალი ანტიტერორისტული ცვლილებების პაკეტი კანონმდებლობაში. რამდენადაც თურქეთში ძალზე ფართოა ცნება „ტერორიზმის“ აღქმა, ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ახალი რეგულაციები ეწინააღმდეგება კონსტიტუციას<sup>34</sup> და ისეთივე რეპრესიულია, როგორც თავად საგანგებო მდგომარეობა.<sup>35</sup> ოპოზიციონერების განცხადებით, თურქეთის ხელისუფლებას ქვეყანაში შემოაქვს პერმანენტული საგანგებო ზომები.<sup>36</sup>

პარლამენტმა ცვლილებების პაკეტი დაამტკიცა ა.წ. 25 ივლისს, რომლის მიხედვითაც შემოდის გარკვეული შეზღუდვები.<sup>37</sup> ეს შეზღუდვები ძალაში იქნება მომავალი 3 წლის განმავლობაში, კერძოდ:

- ხელისუფლებას, როგორც ეს იყო საგანგებო მდგომარეობის პერიოდშიც, შეეძლება გააგრძელოს სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა სამსახურიდან გათავისუფლება სასამართლოს გადაწყვეტილებების გარეშე;<sup>38</sup>
- ვიცე-პრეზიდენტის/ვიცე-პრეზიდენტებისა და მინისტრების წინააღმდეგ გამოძიება შესაძლოა დაიწყოს პრეზიდენტის თანხმობის შემთხვევაში. პარლამენტარების წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას დასჭირდება პარლამენტის თავმჯდომარის ნებართვა.

გუბერნატორების წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას კი ესა-  
ჭიროება შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობა;<sup>39</sup>

- მინისტრებსა და სხვა უწყებების ხელმძღვანელებს ამ ინსტიტუ-  
ტებში შექმნილი კომისიების საშუალებით უფლება ექნებათ სამ-  
სახურიდან დაითხოვონ ის სახელმწიფო მოსამსახურეები<sup>40</sup> (მათ  
შორის გენერლები, ადმირლები და პოლიციის უფროსები), რომ-  
ლებსაც კავშირი ექნებათ ტერორისტულ ორგანიზაციებთან;<sup>41</sup>
- უმაღლესი განათლების საბჭოს (YÖK) უფლება ექნება სამსახუ-  
რიდან გაათავისუფლოს აკადემიური წრეების წარმომადგენ-  
ლები;
- სახელმწიფო სამსახურიდან დათხოვილ კადრებს უფლება არ  
ექნებათ გადაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნით მიმართონ  
სასამართლოს;<sup>42</sup>
- საზოგადოებრივი არეულობების შემთხვევაში, წინასწარი დაკა-  
ვების ვადა შეიძლება გაიზარდოს 12 დღის პერიოდით;<sup>43</sup>
- სახელმწიფო შეძლებს გააგრძელოს რწმუნებულთა დანიშვნის  
პრაქტიკა ტერორიზმთან კავშირის მქონე ინსტიტუტებსა და  
კომპანიებში;
- სახელმწიფო სამსახურიდან დათხოვილ პირებს ჩამოერთმევათ  
იარაღის ტარების უფლება და პასპორტი. შინაგან საქმეთა სამი-  
ნისტროს შეეძლება პასპორტები ჩამოართვას ასეთი პირების  
მეუღლეებსაც.<sup>44</sup> შესაბამის ორგანოებს უფლება ეძლევათ ასე-  
თი პირების ოჯახის წევრების სატელეფონო მოსმენებიც აწარ-  
მოონ;<sup>45</sup>
- გუბერნატორებს, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოე-  
ბის დაცვის მიზნით, უფლება ეძლევათ შეზღუდონ მოქალაქეთა  
მოძრაობა გარკვეულ რაიონებში;
- მათვე შეეძლებათ აკრძალონ მოქალაქეთა შეკრებები და დემონ-  
სტრაციები;<sup>46</sup>
- სამხედრო ნაწილებში შესვლისას შესაძლოა დეტექტორებით  
გაიჩხრიკოს სამხედრო პერსონალი (მათ შორის, გენერლებიც);
- საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, უსაფრთხოების ძალებს  
პროკურორის ორდერის გარეშე შეეძლებათ სამხედრო ნაწი-  
ლებში ჩხრეკის ჩატარება.<sup>47</sup>

## დასკვნები

- თურქეთმა, გადავიდა რა საპარლამენტოდან საპრეზიდენტო მმართველობის სისტემაზე, რადიკალურად შეცვალა საკუთარი მმართველობის ფორმა;
- ახალი სისტემა არ ჰგავს არც ერთი სხვა ქვეყნის მმართველობის სისტემას. იგი ექსკლუზიურად თურქული სპეციფიკის გათვალისწინებითაა შექმნილი;
- რეფორმების იდეის ავტორი და მთავარი არქიტექტორი პრეზიდენტი ერდოღანია, რომელიც კვლავ დარჩება მთავარ მოქმედ აქტორად თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- ცვლილებების შედეგად ძალაუფლება თავმოყრილია ერთი პირის (პრეზიდენტი) ხელში. თუმცა, ეს რეფორმა სრულიად ლეგიტიმურია, რადგან იგი განხორციელდა თურქეთის მოსახლეობის მიერ საერთო-სახალხო რეფერენდუმზე გამოთქმული ნების შესაბამისად;
- ახალ სისტემაში ცალკეული დარგების მართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იქნება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჩამოყალიბებული ახალი ინსტიტუტების (საბჭოები და ოფისები) როლი. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ინსტიტუტები ახალი შექმნილია, საჭირო იქნება გარკვეული დრო იმის დასადგენად, თუ კონკრეტულად როგორ იმუშავენ ახალი სისტემა;
- სამხედროებმა საბოლოოდ დაკარგეს ავტონომიურობის ის ხარისხი სახელმწიფოს მართვის სისტემაში, რომელიც მათ ათწლეულების განმავლობაში ჰქონდათ;
- თურქეთის ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადების მიუხედავად, თურქეთში არ შეცვლილა სახელმწიფო წყობილება. იგი კვლავ რჩება რესპუბლიკად, რაც გარანტირებულია კიდევ თურქეთის კონსტიტუციით;
- ქვეყანაში ოფიციალურად კი დასრულდა საგანგებო მდგომარეობა, მაგრამ შეზღუდვების დიდი ნაწილი კვლავ ძალაში დარჩება მომავალი სამი წლის განმავლობაში;
- თურქეთში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მომავალშიც მოსალოდნელია „წმენდის“ (სამსახურიდან განთავისუფლებები და დაკავებები) გაგრძელება სახელმწიფო სტრუქტურებში;

- რამდენადაც ცვლილებების შედეგად თურქეთი დაშორდა მმართველობის ევროპულ მოდელს, სავარაუდოდ, რთულად წარიმართება ამ ქვეყნის დასავლეთთან (უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირთან) დაახლოების პროცესი;
- თურქეთის მმართველობის სისტემაში ცვლილებები, სავარაუდოდ, არ დასრულებულა და მისი გაგრძელება მოსალოდნელია.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. [www.gfsis.org/ge/blog/view/849](http://www.gfsis.org/ge/blog/view/849).
2. Avcu, Arife, "Erdogan 'milli durus' istedi". *Milliyet* (İstanbul), 25 Temmuz 1999, ss. 17.
3. "EU enlargement past, present and future". *BBC News*. 2008-11-06.
4. [www.web.archive.org/web/20150417173035/www.m.milligazete.com.tr/haber\\_detay.php?id=311141](http://www.web.archive.org/web/20150417173035/www.m.milligazete.com.tr/haber_detay.php?id=311141).
5. [www.gfsis.org/ge/blog/view/710](http://www.gfsis.org/ge/blog/view/710).
6. [www.bbc.com/turkce/haberler-turkiye-44799489](http://www.bbc.com/turkce/haberler-turkiye-44799489).
7. [www.gfsis.org/ge/blog/view/710](http://www.gfsis.org/ge/blog/view/710).
8. [www.gfsis.org/ge/blog/view/849](http://www.gfsis.org/ge/blog/view/849).
9. [www.tr.sputniknews.com/turkiye/201806211033950015-turkiyenin-yeni-yonetim-sistemi/](http://www.tr.sputniknews.com/turkiye/201806211033950015-turkiyenin-yeni-yonetim-sistemi/).
10. *Hürriyet*, 11.07.2018.
11. *Hürriyet*, 19.07.2018.
12. *Cumhuriyet*, 11.07.2018.
13. *Hürriyet*, 19.07.2018.
14. *Hürriyet*, 11.07.2018.
15. [www.al-monitor.com/pulse/originals/2018/07/turkey-erdogan-bring-state-institutions-under-his-control.html](http://www.al-monitor.com/pulse/originals/2018/07/turkey-erdogan-bring-state-institutions-under-his-control.html).
16. [www.tr.sputniknews.com/turkiye/201806211033950015-turkiyenin-yeni-yonetim-sistemi/](http://www.tr.sputniknews.com/turkiye/201806211033950015-turkiyenin-yeni-yonetim-sistemi/).
17. *Odatv*, 09.07.2018.
18. [www.theregion.org/article/13856-039-the-presidential-system-039-turkey-erdogan-took-control-of-all-expect-economic-crisis](http://www.theregion.org/article/13856-039-the-presidential-system-039-turkey-erdogan-took-control-of-all-expect-economic-crisis).
19. [www.haberturk.com/ankara-haberleri/15997041-disisleri-bakanligi-sozcusu-aksoyun-bilgilendirme-toplantisi](http://www.haberturk.com/ankara-haberleri/15997041-disisleri-bakanligi-sozcusu-aksoyun-bilgilendirme-toplantisi).
20. [www.tr.sputniknews.com/turkiye/201806211033950015-turkiyenin-yeni-yonetim-sistemi/](http://www.tr.sputniknews.com/turkiye/201806211033950015-turkiyenin-yeni-yonetim-sistemi/).
21. [www.cumhuriyet.com.tr/haber/siyaset/1024486/Bakanliklarda\\_isimler\\_ve\\_logolar\\_da\\_degisiyor.html](http://www.cumhuriyet.com.tr/haber/siyaset/1024486/Bakanliklarda_isimler_ve_logolar_da_degisiyor.html).

22. [www.yenisafak.com/2018-bakanlar-kurulu-listesi-iste-kabinede-yer-alan-ismiler-h-3383100](http://www.yenisafak.com/2018-bakanlar-kurulu-listesi-iste-kabinede-yer-alan-ismiler-h-3383100).
23. Hürriyet, 18.07.2018.
24. T24, 20.07.2018.
25. Odatv, 09.07.2018.
26. [www.hurriyetdailynews.com/opinion/murat-yetkin/erdogan-reforms-turkish-military-radically-134595](http://www.hurriyetdailynews.com/opinion/murat-yetkin/erdogan-reforms-turkish-military-radically-134595).
27. [www.al-monitor.com/pulse/originals/2018/07/turkey--revamping-national-security-apparatus.html](http://www.al-monitor.com/pulse/originals/2018/07/turkey--revamping-national-security-apparatus.html).
28. [www.hurriyetdailynews.com/opinion/murat-yetkin/erdogan-reforms-turkish-military-radically-134595](http://www.hurriyetdailynews.com/opinion/murat-yetkin/erdogan-reforms-turkish-military-radically-134595)
29. [www.hurriyetdailynews.com/turkish-general-staff-put-under-defense-ministry-134576](http://www.hurriyetdailynews.com/turkish-general-staff-put-under-defense-ministry-134576).
30. [www.al-monitor.com/pulse/originals/2018/07/turkey--revamping-national-security-apparatus.html](http://www.al-monitor.com/pulse/originals/2018/07/turkey--revamping-national-security-apparatus.html).
31. [www.sigmaturkey.com/2018/07/13/presidential-system-the-13-arguments-turkeysnewjourney/](http://www.sigmaturkey.com/2018/07/13/presidential-system-the-13-arguments-turkeysnewjourney/).
32. [www.aa.com.tr/tr/gunun-basliklari/turkiyede-ohal-sona-erdi/1208010](http://www.aa.com.tr/tr/gunun-basliklari/turkiyede-ohal-sona-erdi/1208010).
33. [www.al-monitor.com/pulse/originals/2018/07/turkey-state-of-emergency-expires.html](http://www.al-monitor.com/pulse/originals/2018/07/turkey-state-of-emergency-expires.html).
34. Cumhuriyet, 19.07.2018.
35. [www.netgazeti.ge/news/293493/](http://www.netgazeti.ge/news/293493/).
36. Hürriyet, 18.07.2018.
37. [www.hurriyet.com.tr/gundem/kritik-duzenleme-tbmmde-kabul-edildi-40908346](http://www.hurriyet.com.tr/gundem/kritik-duzenleme-tbmmde-kabul-edildi-40908346).
38. Hürriyet, 20.07.2018.
39. [www.sigmaturkey.com/2018/07/19/normal-abnormal-turkeysnewjourney/](http://www.sigmaturkey.com/2018/07/19/normal-abnormal-turkeysnewjourney/).
40. [www.sigmaturkey.com/2018/07/19/normal-abnormal-turkeysnewjourney/](http://www.sigmaturkey.com/2018/07/19/normal-abnormal-turkeysnewjourney/).
41. Habertürk, 17.07.2018.
42. Habertürk, 17.07.2018.
43. Hürriyet, 17.07.2018.
44. [www.hurriyetdailynews.com/anti-terror-bill-keeps-some-national-emergency-provisions-for-three-more-years-134677](http://www.hurriyetdailynews.com/anti-terror-bill-keeps-some-national-emergency-provisions-for-three-more-years-134677).
45. [www.sigmaturkey.com/2018/07/19/normal-abnormal-turkeysnewjourney/](http://www.sigmaturkey.com/2018/07/19/normal-abnormal-turkeysnewjourney/).
46. [www.al-monitor.com/pulse/originals/2018/07/turkey-state-of-emergency-really-over.html](http://www.al-monitor.com/pulse/originals/2018/07/turkey-state-of-emergency-really-over.html).
47. [www.sigmaturkey.com/2018/07/19/normal-abnormal-turkeysnewjourney/](http://www.sigmaturkey.com/2018/07/19/normal-abnormal-turkeysnewjourney/).